

ქ.თბილისი

2019 წლის 15 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 15 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ნ. აბაშიძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის მ. კვერნაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 4 მარტს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე გორის „გორდა“-სა და თბ „ხულიგანა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. გორის „გორდა“-ს მორაგბე, დათო სადღობელაშვილი - არასპორტული, არაეთიკური საქციელი მატჩის ოფიციალური პირის მიმართ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.1 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1 2.1 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გორის „გორდა“-ს მორაგბე დ. სადღობელაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.1 პუნქტი და კლუბ გორის „გორდა“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1(ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/